ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5705184

ნომერი: AR1862824

თარიღი : 17.11.2021

გაცემის თარიღი : 29.11.2021

გაცნობის თარიღი : 29.11.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა, N 67;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიად სებისკვერაძე პ/ნ 01027009402
- თბილისი ვ.ნოზაძის ქ. N 2 ბლოკი გ ბ. 23

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 17 ნოემბერს №AR1862824 განცხადებით მომართა ზვიად სებისკვერაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 20

აგვისტოს №5072364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.08.006.068 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, საოფისე) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 11 სექტემბრის №5097501 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 11 სექტემბრიდან 2022 წლის 11 იანვრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილი დამხმარე - 3.8 კვ.მ-ის დამატებას, ასევე, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად 360.0 კვ.მ-ის ნაცვლად 363.0 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 190.0 კვ.მ-ის ნაცვლად 188.5 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 38.2 კვ.მ-ის ნაცვლად 35.0 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 44.2 კვ.მ-ის ნაცვლად 50.5 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 632.4 კვ.მ-ის ნაცვლად 640.8 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი ტექნიკურ –ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ აღნიშნულ გეგმებზე ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაემატოს გამორჩენილი დამხმარე 3.8 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 363.0 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 188.5 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 35.0 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 50.5 კვ.მ., საერთო ფართობად - 640.8 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 20 აგვისტოს №5072364 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.